European Bank for Reconstruction and Development

Independent Project Accountability Mechanism

MAP-ის მონიტორინგის დახურვის ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: 2024 წლის ნოემბერი – 2025 წლის დეკემბერი

შუახევის ჰესი (მოთხოვნა #2)

EBRD-ის პროექტის ნომერი 45335

საქმე 2019/01

მარტი 2026

შენიშვნა: ეს საქმე მიღებულია პროექტის გასაჩივრების (PCM), EBRD–ის ყოფილი ანგარიშვალდებულების მექანიზმის ფარგლებში, 2014 წლის PCM–ის პროცედურული წესების შესაბამისად.

2020 წლის 1 ივლისიდან, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი შეცვალა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IPAM), რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის (PAP) საფუძველზე. პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის გარდამავალი დებულებების V ნაწილის შესაბამისად, IPAM-ის ხელმძღვანელმა 2020 წლის ივლისში დაადგინა, რომ შერჩეულმა PCM ექსპერტმა დაასრულა შესაბამისობის განხილვის პროცესი პროექტის საჩივრების მექანიზმის 2014 წლის პროცედურული წესების შესაბამისად. 2022 წლის ნოემბერში შესაბამისობის მიმოხილვის დასრულების შემდეგ, ეს საქმე განიხილება 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის მოთხოვნების თანახმად.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) EBRD–ის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმია. ის განიხილავს პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოს დაცვის, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ საკითხებს. IPAM–ს აქვს რეაგირების ორი საშუალება: i) პრობლემის მოგვარება, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, რათა გადაიჭრას გარემოს დაცვის, სოციალური და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული საკითხები, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს შეასრულა თუ არა, EBRD-მა თავისივე გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.

IPAM-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ipam@ebrd.com ან ეწვიეთ IPAM webpage.

საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
5 ბანკის ქუჩა
ლონდონი, E14 4BG
ტელ: +44 (0)20 7338 6000
Email: ipam@ebrd.com

როგორ შევიტანოთ საჩივარი IPAM-ში

EBRD-ის პროექტის გარემოს დაცვის და სოციალური კუთხით შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით ან მითითებულ მისამართზე წერილის გამოგზავნით ან ონლაინ ფორმის შევსებით
https://www.ebrd.com/home/what-we-do/projects/independent-project-accountability-mechanism/submit-a-complaint.html

ა აბრევიატურები 3
1. შესავალი 7
2. ამ პერიოდის მონიტორინგის აქტივობები 8
3. შუახევი ჰესის საქმის 2019/01 (მოთხოვნა #2) დახურვა 13
დანართი I. MAP-ის განხორციელების პროგრესი – მიმდინარე მონიტორინგის ქმედებები 17
დანართი II. დაკავშირებული გამოძიებები 20

აბრევიატურები

აბრევიატურა	სრული ფორმა
AGL ან კლიენტი	აჭარისწყალი ჯორჯია
CAO	შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი
CEE	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IPAM	პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
O-BAP	საოპერაციო ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
PAP	2019 წლის ანგარიშგების პოლიტიკა
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
PR	შესრულების მოთხოვნა
პროექტი	შუახევის ჰიდროენერგეტიკული პროექტი (45335) საქართველოში
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

მოკლე შეჯამება

ეს ანგარიში მოიცავს **მონიტორინგის მეოთხე და მეხუთე პერიოდებს,** 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის დეკემბრამდე და წარმოადგენს ბოლო ანგარიშს - საქმე 2019/01 შუახევი ჰესი (მოთხოვნა #2). MAP მონიტორინგის ეტაპი დაიწყო 2022 წლის დეკემბერში და სრულდება 2025 წლის დეკემბერში. IPAM-მა ზედამხედველობა გაუწია ათი ქმედების განხორციელებას, რომელთა მიზანი შუახევი ჰესის (45335) პროექტის შესაბამისობის მიმოხილვის გამოძიების დროს გამოვლენილ შეუსაბამობებზე რეაგირება იყო.

პროექტი 2014 წლის აპრილში დაამტკიცა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დირექტორთა საბჭომ, როგორც შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასთვის“ 89.9 მილიონი აშშ დოლარის (66.2 მილიონი ევროს) ოდენობის სესხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე აჭარისწყალზე განსათავსებელი ჰიდროელექტროსადგურის განვითარების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დასაფინანსებლად. პროექტს, რომელმაც ასევე მიიღო დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (IFC), 2008 წლის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად, მიენიჭა კატეგორია A.

2018 წლის ივლისში, პროექტის საჩივრების მექანიზმმა (PCM, IPAM-ის წინამორბედი) მიიღო მოთხოვნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან „მწვანე ალტერნატივა“ და CEE Bankwatch Network-ისგან. ეს იყო PCM-ის მიერ პროექტთან დაკავშირებით მიღებული მეორე საჩივარი და ორგანიზაციებმა პარალელური საჩივარი ასევე წარუდგინეს IFC-ის შესაბამისობის მრჩეველ ომბუდსმენს (CAO).

PCM-მა ჩაატარა ფაქტების დამდგენი გამოძიება და წარმოადგინა დასკვნები და რეკომენდაციები შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში (ჩაატარა გარე ექსპერტმა PCM-ის პროცედურული წესების თანახმად) გამოვლინდა შეუსაბამობა 2008 წლის გარემოს დაცვისა და სოციალურ პოლიტიკასთან - შესრულების მოთხოვნებთან (PRs) 1, 4 და 6 დაკავშირებით. სულ PCM-მა **მენეჯმენტისთვის 8 რეკომენდაცია გასცა**.

მენეჯმენტმა საბჭოს 2022 წლის ოქტომბერში წარუდგინა მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP), რომელიც შესაბამისად დამტკიცდა და მოიცავდა 10 ქმედებას, რომელთაგან 5 მონიტორინგს მოითხოვდა. IPAM პასუხისმგებელია MAP-ის განხორციელების მონიტორინგზე 2022 წლის დეკემბრიდან[1] .

ცხრილი 1. საქმე 2019/01 შესაბამისობისა და მონიტორინგის ეტაპები

No.	ქმედება	ვადა
1	შესაბამისობის განხილვის დასრულება	ოქტომბერი 2022
2	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	ოქტომბერი 2022
3	MAP-ის მონიტორინგის გეგმა	დეკემბერი 2022
4	მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე პერიოდს	თებერვალი 2024
5	მონიტორინგის მეორე ანგარიში 2023 წლის ნოემბერი - 2024 წლის აპრილი	ივლისი 2024
6	მესამე მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მოიცავს 2024 წლის მაისიდან 2024 წლის ოქტომბრამდე პერიოდს	მაისი 2025
7	მე-4 მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მოიცავს 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის დეკემბრამდე პერიოდს	თებერვალი 2026

[1] IPAM პასუხისმგებელია MAP-ის განხორციელების მონიტორინგზე პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკაში დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, IPAM-მა შეიმუშავა MAP-ის მონიტორინგის გეგმა, რომელშიც მითითებულია აქტივობები, რომლებსაც ის განახორციელებს თითოეული ქმედების დასრულების შესაფასებლად და რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად. შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში, MAP და MAP-ის მონიტორინგის გეგმა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია IPAM-ის საქმეთა რეესტრში არსებულ ვირტუალურ საქმის ფაილში.

2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის თანახმად, IPAM გააკონტროლებს დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმების განხორციელებას, შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში გამოვლენილი შეუსაბამობების კონტექსტში. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმები შესრულებულად ჩაითვლება, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

i. განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ხორციელდება ეფექტიანად; და
ii. განხორციელების ვადები დაცულია.

მონიტორინგი გაგრძელდება სანამ IPAM არ დაადგენს, რომ შესაბამისი მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის სრულად განხორციელდა.

2019/01 საქმისთვის, IPAM 2023 წლის იანვრიდან 2025 წლის დეკემბრამდე პერიოდში მენეჯმენტის ხუთი ქმედების განხორციელებას უწევდა მონიტორინგს. IPAM-მა გადაწყვიტა მონიტორინგის ეტაპის დახურვა, თუმცა MAP სრულად არ განხორციელებულა (ორი ქმედება სრულად განხორციელდა PAP-ში დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. სამი სხვა ქმედება მხოლოდ ნაწილობრივ და დაგვიანებით განხორციელდა). გადაწყვეტილება მიღებული იქნა იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის გაგრძელება არ გამოიწვევს დარჩენილი ქმედების დასრულებას, რადგან ბანკი აღარ ახორციელებს პროექტის ზედამხედველობას.

მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებული ქმედებებია 5, 6 და 7. ქმედებების სრულად შეუსრულებლობით, MAP-მა სრულად ვერ შეძლო შემდეგი საკითხების მოგვარება:

- ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საზოგადოებას დაარწმუნებდა, რომ მეწყერის რისკი სათანადოდ იქნა გათვალისწინებული;
- მონიტორინგის გზით წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა EBRD-ის სესხის მთელი ვადის განმავლობაში.

დასკვნა და შემდგომი ნაბიჯები

2019 წლის PAP-ის შესაბამისად, IPAM-მა გადაწყვიტა საქმის დახურვა, მათ შორის, იმის აღნიშვნით, რომ ყველა ქმედება სრულად არ განხორციელებულა. ეს მონიტორინგის ანგარიში გაეგზავნათ მხარეებს და გამოქვეყნდა საქმეთა რეესტრში - საქმე 2019/01 შუახევი ჰესი (მოთხოვნა #2) როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე, საბჭოსა და პრეზიდენტისთვის ინფორმაციის მისაღებად წარდგენის შემდეგ.

1. შესავალი

2018 წლის ივლისში, პროექტის საჩივრების მექანიზმმა (PCM, IPAM-ის წინამორბედი) მიიღო საჩივარი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან „მწვანე ალტერნატივა“ და CEE Bankwatch Network-ისგან შუახევი ჰესის (45335) პროექტთან დაკავშირებით. საქმე დარეგისტრირდა 2019 წლის 18 თებერვალს როგორც Case 2019/01 Shuakhevi HPP (Request #2).

მოსარჩელეებმა გამოთქვეს შეშფოთება გარემოსა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და წინასწარი კვლევის ჩატარების, ასევე, პროექტის შესრულებისა და პროექტის მონიტორინგის შესაბამისობასთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნა, რომ არსებობს კითხვის ნიშნები ბიომრავალფეროვნების კომპენსაციის მექანიზმების ვარგისიანობის, ქალების, როგორც მოწყვლადი მოსახლეობის დაცვისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გარშემო.

PCM-მა ჩაატარა ფაქტების დამდგენი გამოძიება და წარმოადგინა დასკვნები და რეკომენდაციები შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია IPAM-ის საქმეთა რეესტრის ვირტუალურ საქმეთა ფაილში. შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში (ჩაატარა გარე ექსპერტმა) გამოვლინდა შეუსაბამობა 2008 წლის გარემოს დაცვისა და სოციალურ პოლიტიკის შესრულების მოთხოვნებთან (PRs) 1, 4 და 6 დაკავშირებით.

გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, PCM-მ სულ **8 რეკომენდაცია** გასცა: **4 რეკომენდაცია კონკრეტულად პროექტისთვის** და **ოთხი სისტემური ხასიათის.**

PCM-ის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, ბანკის მენეჯმენტმა საბჭოს წარუდგინა სამოქმედო გეგმა. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM-ის საქმეთა რეესტრში 2022 წლის ოქტომბერში, რითაც დაიწყო MAP-ის მონიტორინგის ეტაპი, რომლის ფარგლებშიც, IPAM (მანამდე PCM) პასუხისმგებელია MAP-ის განხორციელების მონიტორინგზე, პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკით დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

მონიტორინგის პროცესის წარმართვის მიზნით, PCM-მა მოამზადა MAP-ის მონიტორინგის გეგმა, რასაც მოჰყვა მონიტორინგის პირველი ანგარიში, რომელიც მომზადდა IPAM-ის მიერ 2024 წლის თებერვალში, მონიტორინგის მეორე ანგარიში 2024 წლის ივლისში და მონიტორინგის მესამე ანგარიში 2025 წლის მაისში.

ეს არის მონიტორინგის მეოთხე ანგარიში, რომელიც მოიცავს IPAM-ის მონიტორინგის აქტივობებს მენეჯმენტის შესაბამის ქმედებებთან დაკავშირებით 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის დეკემბრამდე პერიოდში.

2. ამ პერიოდის მონიტორინგის აქტივობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს როგორც საბოლოო მონიტორინგის, ასევე დასკვნით ანგარიშს და მოიცავს მონიტორინგის ორ პერიოდს - 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის დეკემბრამდე. წლის შუა პერიოდში მონიტორინგის ანგარიში არ გამოქვეყნებულა, რადგან არ განხორციელებულა აქტივობები, რომელზეც ანგარიშის წარდგენა იქნებოდა საჭირო. ამ ნაწილში წარმოდგენილია IPAM-ის მიერ განხორციელებული აქტივობების მიმოხილვა მენეჯმენტის 5გ, 6ა, 6ბ, 7ა, 7ბ და 8ბ ქმედებებთან დაკავშირებული შედეგების შესახებ (რომელთაგან ორი უნდა დასრულებულიყო 2023 წლის ივნისში, ხოლო ოთხის მონიტორინგი მიმდინარეობდა 2025 წლის დეკემბრამდე).

მონიტორინგის აქტივობებისა და დასკვნების შეჯამება

ხსენებული მონიტორინგის პერიოდში, IPAM-მა იმუშავა მენეჯმენტთან და მიმოიხილა განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებული მოწოდებული დოკუმენტაცია. IPAM-მა ითანამშრომლა კლიენტთანაც საჭიროებისამებრ. რაც შეეხება მოსარჩელეებთან ურთიერთობას, IPAM დაუკავშირდა Green Alternative-სა და CEE Bankwatch Network-ს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებმაც წარადგინეს საჩივარი. მათ განაცხადეს, რომ დაუკავშირდნენ ადგილობრივ საზოგადოებას და აცნობეს, რომ 2024 წლის ბოლოს მთაში მეწყერის გააქტიურება მოხდა, რომელსაც, საბედნიეროდ, მახალაკიძეების სოფლამდე არ მიუღწევია. ამ მოვლენის შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას სთხოვეს ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში შეხვედრაზე დასწრება, სადაც მათ ეკოლოგიურად ლტოლვილებად დარეგისტრირება და კომპენსაციის სახით თანხის აღება სთხოვეს. სოფელი ამ წინადადებით არ დაკმაყოფილდა და უარი თქვა.

ვინაიდან ეს გამოძიება PCM-მა (IPAM-ის წინამორბედმა) ჩაატარა და IPAM-მა პროექტის ტერიტორიაზე არ ყოფილა, ამის ნაცვლად, IPAM-მა იმუშავა CAO-სთან, რომელმაც ცოტა ხნის წინ დაასრულა ამ პროექტთან დაკავშირებული გამოძიება და გაეცნო შესაბამისობის განხილვის ანგარიშს, რათა დამატებითი ინფორმაცია მიეღო პროექტის დონეზე არსებული სიტუაციის შესახებ გამოძიების საერთო სფეროებთან დაკავშირებით. CAO-ს გამოძიების ძირითადი დასკვნები ამგვარია:

წყალი

- თემისათვის საჭირო წყაროებთან დაკავშირებით ადეკვატური საბაზისო მონაცემები არ არსებობს.
- გვირაბების გაყვანის შედეგად მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებული რისკები გამოვლინდა, შემარბილებელი ზომები არ იყო სათანადოდ განსაზღვრული და შესაბამისი ზედამხედველობა არ განხორციელებულა.
- დაზარალებული თემებისთვის ეფექტური მონიტორინგისა და საიმედო ალტერნატიული წყალმომარაგების უზრუნველყოფა არ მომხდარა.

ბიომრავალფეროვნება

- თევზის ბიომრავალფეროვნების არასაკმარისი და მოძველებული საბაზისო მონაცემები განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ეკოსისტემაში.
- ნაკადი 10%-ად არის განსაზღვრული კონკრეტულ მდინარესთან დაკავშირებული ეკოლოგიური დასაბუთების გარეშე; „ნულოვანი დანაკარგის“ არ დადასტურებულა.
- შერბილება და ზედამხედველობა არასაკმარისი იყო თევზის პოპულაციების დოკუმენტირებული შემცირებისა და შეზღუდული ადაპტური რეაგირების გამო.

გარდა ამისა, მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ ამ პროექტის ზედამხედველობის პროცესი 2025 წლის დეკემბერში დასრულდა, შესაბამისად, IPAM-ის მიერ ამ საქმის მონიტორინგიც იმავე დროს სრულდება, თუმცა ზოგიერთი ქმედება დაუსრულებლად ითვლება.

ქვემოთ მოცემულია IPAM-ის ანალიზი თითოეული ღია ქმედებასთან დაკავშირებით.

PCM-ის რეკომენდაცია 5
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა ითანამშრომლოს AGL-თან, რათა შეადგინოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების საბოლოო სია, მათ შორის, თუ როგორ მოქმედებს პროექტი თითოეულ ასეთ თემზე. ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების, მათ შორის ქალებისა და ამ თემის სხვა მოწყვლადი წევრებისგან ინფორმაციის მიღებას.

ქმედება 5გ

PCM-ის მე-5 რეკომენდაციის საპასუხოდ, მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება, უზრუნველეყო კლიენტის მიერ SEP-ის განახლება, პროექტის ექსპლუატაციის ფაზაში გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში, რეგულარული მონიტორინგი, მიმოხილვა და განახლება.

IPAM-ს მიაწოდეს კლიენტის მიერ 2023/2024 წლებში ჩატარებული შეხვედრების სია შეხვედრების ოქმებთან ერთად. ეს მტკიცებულება წარმოდგენილი იყო წინა მონიტორინგის ანგარიშისთვის და განხილვის შემდეგ, ღონისძიება დასრულებულად ჩაითვალა მონიტორინგის იმ პერიოდისთვის.

მიმდინარე პერიოდში მენეჯმენტს არ განუხორციელებია შემდგომი აქტივობები და აღარ ახდენს პროექტის აქტიურად მართვას; მენეჯმენტმა გამოთქვა კმაყოფილება მიმდინარე გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

თავდაპირველად IPAM-ს ამ მოქმედების მონიტორინგი 2025 წლის დეკემბრამდე ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა მიმდინარე ქმედებები არ ყოფილა. ამიტომ, **ქმედება 5გ ჩაითვალა დასრულებულად.**

PCM-ის რეკომენდაცია 6
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა უზრუნველყოს საჯარო წვდომა გეოლოგიური ტესტირების შედეგებზე (კანონით დაცული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე), მათ შორის, ქანების გამძლეობის ტესტების ჩათვლით და AGL-ის მიერ განხორციელებული ქმედებების დოკუმენტირება ასეთი ტესტების შედეგებზე რეაგირებისათვის.

ქმედებები 6ა და 6ბ დაკავშირებულია PCM-ის 6-ე რეკომენდაციასთან.

ქმედება 6ა

ეს ქმედება მოითხოვდა, რომ ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდების შესახებ არატექნიკური პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი ყოფილიყო ინგლისურ და ქართულ ენებზე 2023 წლის ივნისამდე.

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია: *„პროექტის მონიტორინგის ფარგლებში, EBRD იმუშავებს კლიენტთან, რათა გამოქვეყნდეს არატექნიკური პოზიციის დოკუმენტი ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდებთან დაკავშირებით, თუმცა, ეს ESP-ის ფარგლებს სცდება და, შესაბამისად, EBRD-ის პოლიტიკასთან შესაბამისობის მიღმაა. თუმცა, EBRD მოითხოვს, რომ კლიენტმა უზრუნველყოს ქანების ტესტირების ნებისმიერი მონაცემის გაზიარება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში.“*

მენეჯმენტმა IPAM-ს მიაწოდა ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდებზე მომზადებული ნაშრომი და აცნობა, რომ ის კლიენტის ვებსაიტზე 2025 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა (ბმული). ამ ნაშრომის წინა ვერსიები მანამდეც გამოქვეყნდა. მენეჯმენტმა ასევე აცნობა IPAM-ს, რომ ისინი ქმედებას დასრულებულად მიიჩნევდნენ.

IPAM-მა განიხილა დოკუმენტი და ადასტურებს, რომ მასში წარმოდგენილია ზოგადი დასკვნები და გარკვეული ინფორმაცია გეოლოგიური ტესტირების შესახებ (სიმტკიცე და გამძლეობა სველ პირობებში) და აღწერს ქანების ტიპებს, სადაც პრობლემები წარმოიშვა („წითელი ბრექჩია“). ანგარიში არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას ქანების ტესტირების მეთოდების შესახებ.

ეს ქმედება მხოლოდ ნაწილობრივ დასრულებულად ითვლება, რადგან ანგარიში არ იძლევა ინფორმაციას ტესტირების მეთოდების შესახებ, რაც ანგარიშის მიზანი იყო, როგორც ეს საბჭოს მიერ დამტკიცებულ მენეჯმენტის ქმედებაშია მითითებული.

იმის გათვალისწინებით, რომ ქმედების ღიად შენარჩუნებით შემდგომი პროგრესი არ არის მოსალოდნელი, IPAM-მა გადაწყვიტა ქმედება დასრულებულად ჩაეთვალა, შემდეგი დათქმით:

1. **ქმედება არ განხორციელებულა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადებში.**
2. **შედეგი სრულად არ შეესაბამებოდა მენეჯმენტის მიერ MAP-ში შემოთავაზებული ქმედების ფარგლებს.**

ქმედება 6ბ

ეს ქმედება მენეჯმენტისგან მოითხოვდა იმის უზრუნველყოფას, რომ კლიენტმა *“მოთხოვნის შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ქანების ტესტირების ნებისმიერი მონაცემი.”*

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ: *„პროექტის მონიტორინგის დროს, EBRD ითანამშრომლებს კლიენტთან ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდებთან დაკავშირებული არატექნიკური პოზიციის დოკუმენტის გამოსაცემად, თუმცა ეს ESP-ის ფარგლებს სცდება და, შესაბამისად, BRD-ის პოლიტიკასთან შესაბამისობის მიღმაა. თუმცა, EBRD მოითხოვს, რომ კლიენტმა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ქანების ტესტირების ნებისმიერი მონაცემი, მოთხოვნის შემთხვევაში“.*

მენეჯმენტმა ამ ქმედების დასრულების დასტურად წარმოადგინა შეხვედრის ოქმი. შეხვედრის ოქმში ნათქვამია, რომ აღნიშნული შეხვედრის ბოლოს კლიენტმა მონაწილეებს (ტერიტორიის 5 მაცხოვრებელს) აცნობა, „რომ კომპანიას აქვს ახალი ვებსაიტი, სადაც გვირაბთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე“.

ვინაიდან ქმედებით განისაზღვრა, რომ კლიენტი, მოთხოვნის შემთხვევაში, მოამზადებდა ქანების ტესტირების მონაცემებს, ქმედების შესრულების კრიტერიუმად IPAM-მა დაადგინა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ინფორმირებულნი უნდა ყოფილიყვნენ მონაცემების მოთხოვნის შესაძლებლობისა და პროცესის შესახებ. მოწოდებული ოქმი არ წარმოადგენს დასრულების დასტურს და ვებსაიტი არ აკონკრეტებს, რომ ქანების ტესტირების მონაცემები ხელმისაწვდომი იქნებოდა მოთხოვნის შემთხვევაში.

შესაბამისად, IPAM მიიჩნევს, რომ ქმედება ნაწილობრივ დასრულდა, მაგრამ ის უნდა დაიხუროს, რადგან მენეჯმენტმა განაცხადა, რომ ისინი აღარ ახორციელებენ პროექტის ზედამხედველობას.

1. **ქმედება არ განხორციელებულა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადებში.**
2. **შედეგი სრულად არ შეესაბამებოდა მენეჯმენტის მიერ MAP-ში შემოთავაზებული ქმედების ფარგლებს.**

PCM-ის რეკომენდაცია 7
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან საფუძვლიანი ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვის ორგანიზებისათვის (ან არსებული მიმოხილვების გასაძლიერებლად), რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას წყლის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ წინა პერიოდებში, ასევე, ვარაუდისა და დასკვნების სათანადო დადასტურებას ფიზიკურ ანალიზზე დაყრდნობით და არ შემოიფარგლება დოკუმენტების ანალიზით.

ქმედებები 7ა და 7ბ დაკავშირებულია PCM-ის 7-ე რეკომენდაციასთან.

ქმედება 7ა

მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება, რომ პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში მონიტორინგს გაუწევდა წყლის ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას, ამიტომ IPAM-მა მოითხოვა წყლის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგების მოწოდება მონიტორინგის ეტაპების მიხედვით.

მიმდინარე ქმედების სახით, ბოლო მონიტორინგის პერიოდში, IPAM-მა მოითხოვა მენეჯმენტისა და კლიენტისგან განახლებული ინფორმაციის მიწოდება. მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ ისინი აღარ ახორციელებდნენ პროექტის აქტიურ ზედამხედველობას, რადგან მის გარემოს დაცვისა და სოციალურ მაჩვენებლებს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ. შესაბამისად, IPAM-ისთვის მისაწოდებელი უახლესი ინფორმაცია არ არსებობდა.

ამასთანავე, კლიენტმა IPAM-ს აცნობა, რომ „2016 წელს გვირაბის გათხრების სამუშაოების დასრულების შემდეგ, AGL-მა შეწყვიტა წყლის მონიტორინგი პროექტის ობიექტებზე, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად“.

IPAM ხურავს ამ ქმედების მონიტორინგს და მას ნაწილობრივ დასრულებულად მიიჩნევს, იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო სამი მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში არანაირი განახლება არ მიუღია, მიუხედავად მენეჯმენტის MAP-ის ვალდებულებისა, „განახორციელოს მონიტორინგი EBRD-ის სესხის მთელი ვადის განმავლობაში, რათა უზრუნველყოს სიტუაციის უცვლელობა“.

ქმედება ნაწილობრივ შესრულებულია.

ქმედება 7ბ

ამ ქმედების ფარგლებში მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება, IPAM-სთვის მიეწოდებინა განახლებული ინფორმაცია წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მექანიზმის ფარგლებში მიღებული საჩივრების შესახებ.

მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ კლიენტის საჩივრების მექანიზმს არ მიუღია წყალთან დაკავშირებული არცერთი საჩივარი.

ქმედება დასრულდა და ამჟამად დახურულია.

PCM-ის რეკომენდაცია 8
პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა ჩამოაყალიბოს პროტოკოლი ბიომრავალფეროვნების სისტემატური მონიტორინგისა და ანგარიშგების, მათ შორის, ვადებისა და შინაარსის მოთხოვნების ჩათვლით, რაც საშუალებას მისცემს AGL-ს, ბანკს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, დაადგინონ პროექტის ყველა ფაზის განმავლობაში. პროექტი აღწევს თუ არა, ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს.

MAP-ის ქმედება 8ბ დაკავშირებულია PCM-ის რეკომენდაციასთან 8.

ქმედება 8ბ

მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება, რომ მსესხებლის გარემოს დაცვისა და სოციალური კონსულტანტის მიერ პროექტის ოპერატიული ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის (O-BAP) ეფექტიანობის მუდმივ მონიტორინგს განახორციელებდა და რომ O-BAP-ის სამომავლო განვითარებას კლიენტი გაასაჯაროებდა, კარგი პრაქტიკის მიხედვით.

მსესხებლის გარემოს დაცვისა და სოციალური კონსულტანტის უახლესი მონიტორინგის ანგარიში მიუთითებს, რომ ისინი კმაყოფილი იყვნენ კლიენტის მიერ O-BAP-ის განხორციელებით.

ქმედება დასრულდა და ამჟამად დახურულია.

შუახევი ჰესის საქმის 2019/01 (მოთხოვნა #2) დახურვა

ეს ანგარიში ასევე წარმოადგენს ამ საქმის დასკვნით ანგარიშს. MAP-ის მონიტორინგი დაიწყო 2022 წლის დეკემბერში და სრულდება 2025 წლის დეკემბერში. IPAM-მა მონიტორინგი გაუწია მენეჯმენტის ქმედებებს, რომლებიც მიმართული იყო შუახევი ჰესის (45335) პროექტის შესაბამისობის განხილვის გამოძიების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრაზე საქართველოში.

შესაბამისობის მიმოხილვის სისტემური და პროცედურული რეკომენდაციები მოიცავდა:

- PR 1-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კონკრეტულად პროექტის გავლენის ზონის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის სპონსორებს და ბანკს ჰქონდეთ შეთანხმებული, ერთიანი და მკაფიო სურათი პროექტის გავლენის ზონასთან დაკავშირებით, მათ შორის, ცვლილებებთან დაკავშირებით გავლენის არეალში, განსაკუთრებით პროექტებში, რომლებსაც აქვთ საგრძნობი გავლენა ეკოლოგიაზე. ამავდროულად, ბანკმა უნდა აღიაროს და წაახალისოს პროექტის სხვადასხვა თემებზე და დაინტერესებულ მხარეებზე პროექტის ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და უნდა უზრუნველყოს, რომ ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემის წევრებს, განსაკუთრებით დაუცველ წევრებს, ჰქონდეთ ადეკვატური შესაძლებლობა გაეცნონ პროექტის პოტენციურ ზემოქმედებას და გამოთქვან უკუკავშირი.
- PR 4-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკმა უნდა იზრუნოს, რომ იმ სიტუაციებში, როდესაც დამოუკიდებელი ტექნიკური ექსპერტები დაადგენენ შემდგომი ტესტირების აუცილებლობას რისკების სამართავად პროექტის სტრუქტურული ელემენტების ან კომპონენტების მშენებლობასთან, ექსპლუატაციასთან ან დეკომისაციასთან დაკავშირებით, ბანკის მენეჯმენტი დაუკავშირდეს პროექტის სპონსორს, რათა დაადასტუროს, რომ რეკომენდირებული ტესტირება ჩატარდა განსაზღვრულ ვადებში და რომ ტესტების შედეგები დოკუმენტირებულია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და მას მოჰყვა შესაბამისი რეაგირება.
- PR 4.16-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკმა უნდა იზრუნოს, რომ საბაზისო კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ პროექტის მშენებლობამდე და რომ ბუნებრივ რესურსებზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შემდგომი მიმოხილვა არ შემოიფარგლოს დოკუმენტების ანალიზით.
- PR 6.8-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკმა უნდა იმოქმედოს სწრაფად და მტკიცედ, თუ ბანკის მხრიდან კლიენტის მიერ პროექტის BAP-ის განხორციელების მონიტორინგი ვერ ადასტურებს, რომ პროექტი მიაღწევს ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს. ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტებმა პრიორიტეტად მიიჩნიონ BAP-ის განხორციელება ისე, რომ ბანკმა შეძლოს დადასტურება განსაზღვრულ ვადებში, რასაც კონკრეტული შედეგები მოჰყვება შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შესაბამისობის მიმოხილვის პროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოიცავდა:

- ბანკმა უნდა ითანამშრომლოს AGL-თან, რათა შედგეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების საბოლოო სია, რომელიც მოიცავს იმასაც, თუ როგორ მოქმედებს პროექტი თითოეულ ასეთ თემზე. ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისგან, მათ შორის, ქალებისა და ამ თემის სხვა მოწყვლადი წევრებისაგან უკუკავშირის მიღებას.
- ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა უზრუნველყოს საჯარო წვდომა გეოლოგიური ტესტირების შედეგებზე (კანონით დაცული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე), მათ შორის, ქანების გამძლეობის ტესტების ჩათვლით და AGL-ის მიერ განხორციელებული ქმედებების დოკუმენტირება ასეთი ტესტების შედეგებზე რეაგირებისათვის.

- ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან საფუძვლიანი ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვის ორგანიზებისათვის (ან არსებული მიმოხილვების გასაძლიერებლად), რომელიც მოიცავს ისტორიული ინფორმაციის შეგროვებას წყლის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ, ასევე, ვარაუდისა და დასკვნების სათანადო დადასტურებას ფიზიკურ ანალიზზე დაყრდნობით და არ შემოიფარგლება დოკუმენტების ანალიზით.
- ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა ჩამოაყალიბოს პროტოკოლი ბიომრავალფეროვნების სისტემატური მონიტორინგისა და ანგარიშგების, მათ შორის, ვადებისა და შინაარსის მოთხოვნების ჩათვლით, რაც საშუალებას მისცემს AGL-ს, ბანკს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, დაადგინონ პროექტის ყველა ფაზის განმავლობაში. პროექტი აღწევს თუ არა, ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს.

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა

ზემოთხსენებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საპასუხოდ, ბანკმა მიიღო 5 რეკომენდაცია და მოამზადა მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP), რომელიც დაამტკიცა საბჭომ და გაზიარდა 2022 დეკემბერში. MAP მოიცავდა 10 ქმედებას, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო 2022-დან 2025 წლამდე, რომელთაგან 5 ქმედება მონიტორინგს საჭიროებდა და ჩამოთვლილია ქვემოთ.

რეკომენდაცია 1 PR 1-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კონკრეტულად პროექტის გავლენის ზონის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის სპონსორებს და ბანკს ჰქონდეთ შეთანხმებული, ერთიანი და მკაფიო სურათი პროექტის გავლენის ზონასთან დაკავშირებით, მათ შორის, ცვლილებებთან დაკავშირებით გავლენის არეალში, განსაკუთრებით პროექტებში, რომლებსაც აქვთ საგრძნობი ზეგავლენა ეკოლოგიაზე. **მენეჯმენტის პასუხი** შემდგომი ქმედება არ არის დაგეგმლი, რადგან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია სრულად არის ასახული გარემოს დაცვის გეგმის უახლეს ვერსიაში, კერძოდ, PR1-სა და PR10-ში და მათთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო შენიშვნებში. შემუშავებულია PR1 სახელმძღვანელო მითითება, რომელიც სრულად ასახავს პროექტის განმარტებას, დაკავშირებულ ობიექტებს და შესაფასებელი პროექტების ფიზიკურ მასშტაბებს.
რეკომენდაცია 5 პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა ითანამშრომლოს AGL-თან, რათა შედგეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების საბოლოო სია, რომელიც მოიცავს იმასაც, თუ რა გავლენას ახდენს პროექტი თითოეულ ასეთ თემზე. ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისგან, მათ შორის, ქალებისა და ამ თემის სხვა მოწყვლადი წევრებისაგან უკუკავშირის მიღებას. **მენეჯმენტის პასუხი** პროექტის ექსპლუატაციის ფაზისთვის გამოქვეყნდა განახლებული SEP, რომელიც ითვალისწინებს PCM-ის რეკომენდაციებს და რომლის რეგულარული მონიტორინგი, მიმოხილვა და განახლება ხდება საჭიროებისამებრ. პროექტი მონიტორინგის ფაზაში გააგრძელებს მუშაობას EBRD-ის მონაწილეობის მთელი ვადის განმავლობაში და ეს ასპექტი გათვალისწინებული იქნება პერიოდულ მიმოხილვებში.
რეკომენდაცია 6 პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა უზრუნველყოს საჯარო წვდომა გეოლოგიური ტესტირების შედეგებზე (კანონით დაცული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე), მათ შორის, ქანების გამძლეობის ტესტების ჩათვლით და AGL-ის მიერ განხორციელებული ქმედებების დოკუმენტირება ასეთი ტესტების შედეგებზე რეაგირებისათვის. **მენეჯმენტის პასუხი** პროექტის მონიტორინგის დროს, EBRD ითანამშრომლებს კლიენტთან ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდებთან დაკავშირებით არატექნიკური პოზიციის დოკუმენტის გამოსაცემად, თუმცა ეს ESP-ის ფარგლებს სცილდება და შესაბამისად, სცილდება EBRD-ის პოლიტიკასთან შესაბამისობას. თუმცა, EBRD მოითხოვს, რომ კლიენტმა ქანების ტესტირების ნებისმიერი მონაცემი პროექტით დაზარალებული ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს, მოთხოვნის შემთხვევაში.
რეკომენდაცია 7 პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან საფუძვლიანი ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვის ორგანიზებისათვის (ან არსებული მიმოხილვების გასაძლიერებლად), რომელიც მოიცავს ისტორიული ინფორმაციის შეგროვებას წყლის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ, ასევე, ვარაუდისა და დასკვნების სათანადო დადასტურებას ფიზიკურ ანალიზზე დაყრდნობით და არ შემოიფარგლება დოკუმენტების ანალიზით. **მენეჯმენტის პასუხი** შემდგომი ქმედებები არ არის შემოთავაზებული, თუმცა ამ საკითხის მონიტორინგს გაგრძელდება EBRD-ის სესხის მთელი ვადის განმავლობაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სიტუაციის უცვლელობა.
რეკომენდაცია 8 პროექტთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა იმუშაოს AGL-თან, რათა ჩამოაყალიბოს პროტოკოლი ბიომრავალფეროვნების სისტემატური მონიტორინგისა და ანგარიშგების, მათ შორის, ვადებისა და შინაარსის მოთხოვნების ჩათვლით, რაც საშუალებას მისცემს AGL-ს, ბანკს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, დაადგინონ პროექტის ყველა ფაზის განმავლობაში. პროექტი აღწევს თუ არა, ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს. **მენეჯმენტის პასუხი** საჩივრის წარდგენისა და შესაბამისობის მიმოხილვის ექსპერტის ვიზიტის შემდეგ, შესრულდა და გამოქვეყნდა ოპერაციების სბსგ (O-BAP), რომელიც მოიცავს ამ რეკომენდაციის ყველა პუნქტს და ადასტურებს ბიომრავალფეროვნების ნულოვან დანაკარგს. O-BAP-ის ქმედითობის მონიტორინგი გაგრძელდება EBRD-ის და მსესხებლის გარემოს დაცვისა და სოციალური კონსულტანტის მიერ. შემდგომი ქმედებები არ არის შემოთავაზებული, თუმცა, კარგი პრაქტიკის შესაბამისად, O-BAP-ის შედგომ განახლებები გაზიარდება.

4. საბოლოო დასკვნები

2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის თანახმად, IPAM დააკვირდება დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმების განხორციელებას შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში გამოვლენილი შეუსაბამობების კონტექსტში. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმები შესრულებულად ჩაითვლება, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

i. განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად ხორციელდება; და

ii. განხორციელების ვადები დაცულია.

გარდა ამისა, მონიტორინგი გაგრძელდება მანამ, სანამ IPAM არ დაადგენს, რომ შესაბამისი მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის სრულად განხორციელდა.

საქმისთვის 2019/01, IPAM 2023 წლის იანვრიდან 2025 წლის დეკემბრამდე პერიოდში 5 მენეჯმენტის ქმედების განხორციელებას უწევდა მონიტორინგს. IPAM-მა გადაწყვიტა მონიტორინგის ეტაპის დახურვა, თუმცა MAP სრულად არ განხორციელებულა (ორი ქმედება სრულად განხორციელდა PAP-ში დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. სამი სხვა ქმედება მხოლოდ ნაწილობრივ და დაგვიანებით განხორციელდა). გადაწყვეტილება მიღებულია იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის გაგრძელება არ გამოიწვევს არცერთი ქმედების დასრულებას, რადგან ბანკი აღარ ახორციელებს პროექტის ზედამხედველობას.

მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებული ქმედებებია 5, 6 და 7. ქმედებების სრულად შეუსრულებლობით, MAP-მა სრულად ვერ შეძლო შემდეგი საკითხების მოგვარება:

- ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საზოგადოებას დაარწმუნებდა, რომ მეწყერის რისკი სათანადოდ იქნა გათვალისწინებული;
- მონიტორინგის გზით წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა EBRD-ის სესხის მთელი ვადის განმავლობაში.

დანართი I. MAP-ის განხორციელების პროგრესი – მიმდინარე მონიტორინგის ქმედებები

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და დასრულების შემოთავაზებული ბოლო ვადა	IPAM-ის შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების დასადგენად	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის კომენტარები
5	(გ) SEP ხორციელდება საოპერაციო ფაზაში	უახლესი ინფორმაციის მოთხოვნა მენეჯმენტისგან SEP-ის განხორციელებასთან დაკავშირებით, რა აქტივობები განხორციელდა და რომელი დაინტერესებული მხარეები იყვნენ ჩართულნი	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბრიდან 2025-ის დეკემბრამდე	ინფორმაცია მიღებულია და შეჯამება ჩართულია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში. ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები ადასტურებენ მონაწილეობას	დახურული	---
6	ა) ისტორიული ქანების ტესტირების მეთოდების შესახებ არატექნიკური პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე	დაადასტურეთ, არის თუ არა პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი ინგლისურ და ქართულ ენებზე	ივნისი 2023	პოზიციის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე	დახურული	ვინაიდან მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ ისინი აღარ აკვირდებიან პროექტს, IPAM მიიჩნევს, რომ მოქმედების ღიად შენარჩუნებით შემდგომი პროგრესი არ იქნება მიღწეული. დაიხურა იმის აღნიშვნით, რომ მოქმედება დაგვიანებით განხორციელდა და მხოლოდ შეჯამება გამოქვეყნდა.
	ბ) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები ინფორმირებული არიან	მოითხოვეთ მენეჯმენტისგან მტკიცებულება, რომ პროექტის ზემოქმედების	ივნისი 2023	ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის	დახურული	ვინაიდან მენეჯმენტმა IPAM-ს აცნობა, რომ ისინი აღარ აკვირდებიან პროექტს, IPAM მიიჩნევს, რომ მოქმედების ღიად

ქმედება No.	EBRD-ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და დასრულების შემოთავაზებული ბოლო ვადა	IPAM-ის შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების დასადგენად	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულების სტატუსი	IPAM-ის კომენტარები
	ქანების ტესტირების მონაცემების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ	ქვეშ მყოფი ადამიანები ინფორმირებულნი არიან ქანების ტესტირების მონაცემების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ		შეტყობინებები და მესიჯები შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა მოთხოვნის შესაძლებლობისა და პროცესის შესახებ		შენარჩუნებით შემდგომი პროგრესი არ იქნება მიღწეული. შესაბამისად, IPAM-მა გადაწყვიტა ქმედების დახურვა, იმის აღნიშვნით, რომ საქმის დასრულების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო.
7	ა) მენეჯმენტმა უნდა მიაწოდოს IPAM-ის უახლესი ინფორმაცია წყლის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის დასკვნებთან დაკავშირებით	მენეჯმენტისგან უახლესი ინფორმაციის მოთხოვნა წყლის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის დასკვნებთან დაკავშირებით	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბერიდან 2025 წლის დეკემბერამდე	მოწოდებულია უახლესი ინფორმაცია და შეჯამება წარმოდგენილია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში	დახურული	IPAM ამ ქმედებაზე მონიტორინგს წყვეტს და აღნიშნავს, რომ ქმედება მხოლოდ ნაწილობრივ დასრულდა, რადგან წყლის მონიტორინგი წელიწადნახევრის წინ შეჩერდა.
	ბ) მენეჯმენტმა უნდა მიაწოდოს IPAM-ს უახლესი ინფორმაცია წყლის ხელმისაწვდომობის საჩივრების შესახებ, რომლებიც წამოჭრილია საჩივრების მექანიზმით	მენეჯმენტისგან უახლესი ინფორმაციის მოთხოვნა წყლის ხელმისაწვდომობის საჩივრების შესახებ, რომლებიც წამოჭრილია საჩივრების მექანიზმით	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბერიდან 2025 წლის დეკემბერამდე	მოწოდებულია უახლესი ინფორმაცია და შეჯამება წარმოდგენილია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში	დახურული	ქმედება ითვლება დასრულებულად და დახურულად.
8	ბ) O-BAP-ის განხორციელების განახლებები მიეწოდება IPAM-ს მონიტორინგის ანგარიშებში შესატანად	მენეჯმენტისგან ინფორმაციის მოთხოვნა O-BAP-ის განხორციელების შესახებ	წელიწადში ორჯერ, 2022 წლის დეკემბერიდან 2025 წლის დეკემბერამდე	მოწოდებულია უახლესი ინფორმაცია და შეჯამება წარმოდგენილია IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშში	დახურული	ქმედება ითვლება დასრულებულად და დახურულად.

დანართი II. დაკავშირებული გამოძიებები

შემდეგი წარმოდგენილია მხოლოდ როგორც რელევანტური ინფორმაცია ბმულის სახით:

IFC-ის შესაბამისობის მრჩეველ ომბუდსმენმა პარალელური საჩივარი მიიღო და ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში. ბმული მოცემულია აქ CAO-ს შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტი.